ასლი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
14.01.2011 N 4
თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 27დეკემბრის N114 “მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან გამოცხადებულ სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი განათლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (24 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით, www.nea.ge) განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის (დანართი 1) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღება განხორციელდეს 2011 წლის 7 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი. ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 16 თებერვლისა;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი. ზ.წვერაიძე), ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისთვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 3-ით.
6. ძალაში დარჩეს სტუ-ს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის N 90 ბრძანება;
7. 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა ბრძანების პროექტის მომზადება და მისი წარდგენა თანდართული დოკუმენტაციით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2011 წლის 18 თებერვლისა;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
9. ბრძანება განთავსდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

რექტორის მოადგილე სწავლების დარგში
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ზ.მაისურაძე

დანართი 1

მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი
5. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში)
6. ჩარიცხვის ბრძანების ასლი დამოწმებული ბეჭდით
7. ვაჟებმა სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:		
სახელი და გვარი:		
სტუდენტის პირადი ნომერი:		
განათლების საფეხური:	❑ პროფესიული უმაღლესი	❑ ბაკალავრიატი
	❑ მაგისტრატურა	❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

☐ რეკომენდირებულია გადმოყვანა

☐ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

შენიშვნა

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი

დანართი 3

სტუ–ს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი (სემესტრი)
საბაკალავრო პროგრამებისათვის	
0-დან 45–მდე 45-დან 120–მდე 120–დან 195–მდე 195–დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი) მესამე (მეექვსე სემესტრი) მეოთხე (მერვე სემესტრი)
პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის	
0-დან 60–მდე 60-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი)
მაგისტრატურა	
0-დან 75–მდე 75-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი)
დოქტორანტურა	
0-დან 60–მდე 60-დან 135–მდე 135-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი) მესამე (მეექვსე სემესტრი)